

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი - თამარ გოგინაშვილი

თანამდებობის დასახელება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

საანგარიშო პერიოდი - 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 28 ოქტომბრამდე

ანგარიშის ტიპი - რიგითი

- 1) სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - საანგარიშო პერიოდში (2016 წლის 1 იანვრი - 2016 წლის 28 ოქტომბერი) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა 14 სხდომა
- 2) საკრებულოს სხდომებზე დასწრება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებული 14 სხდომიდან ვესწრებოდი 10 სხდომას.
- 3) იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომების რაოდენობა - საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ ჩატარა 16 სხდომა, საიდანაც ვესწრებოდი 15 სხდომას.
- 4) დროებითი სამუშაო ჯგუფის (ჯგუფების) წევრობა - ვიყავი „ახალციხის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გერბისა და დროშის შექმნის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოთა ორგანიზებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ მდივანი
- 5) დროებითი სამუშაო ჯგუფის (ჯგუფების) სხდომებში მონაწილეობა - დროებითმა სამუშაო ჯგუფმა ჯამში ჩატარა 3 სხდომა. ვმონაწილეობდი სამივე სხდომაში
- 6) უშუალო მონაწილეობით შემუშავებული პროექტები:
 - ✓ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბისა და დროშის) პროექტის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტები.
 - ✓ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გერბისა და დროშის შექმნის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოთა ორგანიზებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგარძელების შესახებ“ განკარგულების პროექტები.

- ✓ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის და დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 სექტემბრის N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.
- 7) საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები: საანგარიშო პერიოდში ჩემი მხარდაჭერით მიღებულ იქნა:
- ✓ „ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება
 - ✓ „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების , შენობა-ნაგებობების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილება
 - ✓ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ახალციხის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“-ს წესდების დამტკიცების თაობაზე განკარგულება
 - ✓ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ახალციხის თემის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება“-ს წესდების დამტკიცების თაობაზე განკარგულება
 - ✓ 2016 წლის 17 ივლის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესული ცვლილებების საფუძველზე „ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილება და სხვა.
- 8) საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა - საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და კონფერენციებში.

თამარ გოგინაშვილი

